№ 253. ნოემბრის 24, შაბათი. 1866—1884 ნოემბრის 24, შაბათი. № 253.

თბილისი

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## შესანიშნავი მუზეუმი ვინტერისა.



პატივის ცემით ვაცნობებ თბილისის საზოგადოებას, რომ ნოემბრის 8-დამ მუდამ დღეს, დილის 10 საათ. საღამოს 11-მდის გახსნილი იქმნება სახელ-განთქმული სრულიად ევროპაში და რუსეთში ვინტერის მუზეუმი. ჩემი მუზეუმი დიდად წინა დგას და შეუდარებლად უკეთესია სხვა მუზეუმებზე, რაშიაც მნახველნი დარწმუნდებიან ადვილად.

მუზეუმში არის შემდეგი განყოფილებანი: I. მეხანიკური კაბინეტი და თაფლის სანთლის ფიგურები. II. საუკეთესო სურათები: შესანიშნავის ქალაქებისა და უკანასკნელის რუს-ოსმალოს ომიანობისა.

III. დიდი კოლექცია ავტომატებისა, პარიჟის გამოფენაზე შექმნილნი, IV. ისპანიის ინკვიზიცია.

მოკლეს ხანში იქნება ახალი გამოფენა, ფასი შესვლისა დაკლებულია: 30 კ., ბავშვები 10 წლისა და სამხედრო მდაბალის ჩინისანი იხდიან 15 კაპ.

იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება კეთილ-ინებებს მობრძანებას ჩემს მუზეუმში, გოლოვინის პროსპექტზე, რაზგონი ფოსტის პირ-და-პირ. (2—1)

## ქართული თეატრი

კვირას, ნოემბრის 25-ს.

ბენეფისი

მ. მ. მძინარიშვილისა

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება:

I

**დაქცეული ოჯახი**

კომედია 3-ს მოქმედებად, თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. გაბუნია-ცაგარლისა. ქ. ყიფიანი და გამოჩენილი თარის დამკვრელი გ. მამიკონიანი.

II

**დივერტისმენტი**

გ. მამიკონიანი—თარზე დაუკრავს სხვა-და-სხვა ხმებს; ნ. გაბუნია-ცაგარლისა—იმღერებს ქართულს ხმებს; ი. ჯაჯანაშვილი და ნ. ერისთავი წაიკითხვენ ლექსებს.

III

**დატრიალდა ჯარა**

ვოდევილი 1 მოქმედებად ქ. ყიფიანისა.

დასაწყისი 8 საათზე.

თბილისი, ნოემბრის 24-ს.

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი პროცესი და აგრეთვე ხონში მომხდარი უწესოება, რომელიც ჩვენისავე გაზეთის ქრონიკაში იყო მოხსენებული ამტკიცებენ, რომ იმ დაწესებულებას, რომელიც განათლების სხივის მომფენი უნდა იყოს და კეთილ ზნეობის მასწავლებელი, რაღაც წუნი ადევს. მართალია, ხანდისხან საზოგადოებაში გამოერევიან ხოლმე იმისთანა პირნი, რომელნიც თვით თავიანთ ბოროტის მოთხოვნილებისამებრ სდევნიან ყოველსავე კეთილს და ბრალიან-უბრალოდ ახდენენ უწესოებას, ან შეურაცხებას აყენებენ ყველასაგან პატივცემულ პირთ; მაგრამ ესრედ ბუნება-გარყვნილთ ძვირად შეხვდებით სასწავლებლებში, სადაც მოსწავლე ბავშვების ნორჩი აგებულება მზაა ყოველის სიკეთის მისაღებად და ბოროტის განსადევნელად. მაშასადამე, თუ ხსენებულ უწესოებით სასწავლებლებში დაიბუდეს, ვიმეორებთ, ამის მიზეზად უნდა იყოს იქ ჩანერგული რაიმე ნაკლულევანება, რომელსაც აღმოფხვრა ეჭირვება და საჩქაროდ აღმოფხვრაც, თუ არ გვინდა რომ ამ სენმა ეპიდემიური ხასიათი მიიღოს.

ზემოდაც ვსთქვით, რომ ბავშვის სათუთი ბუნება ისეთია, რომ მასზედ ადვილია კარგის შტოს მყნობაც და ავისაც და ამ სათუთს ბუნებას სათუთადვე მოპყრობა ეჭირვება. ის პირნი კი, რომელთაც ეს მძიმე ტვირთი უკისრიათ, ხშირად არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას და ვერ ახერხებენ ჯეროვანს აღზრდას ამ სათუთის ბუნების პატრონებისას...

რამდენი მაგალითი ყოფილა, რომ მასწავლებელს სასაცილოდ აუგდია სხეულის ნაკლულევანება ბავშვისა, ან შეურაცხება მიუყენებია მთელის იმ ერისათვის, რომელსაც მოსწავლე ეკუთვნის. დიდი ხანი არ არის, რაც ერთმა პოლიტიკო-ეკონომიის პროფესორმა პეტერბურგში თავის ლექციაზედ მთელს ერს შეურაცხება მიაყენა და ისეთი ცოდნაც გამოიჩინა, რომ თავის მსმენელებს ასწავლიდა ქართველებმა ნემეცების-კოლონისტებისაგან ისწავლეს მიწის ხვნა, თორემ გუთნის ხმარება არ იცოდნენო. თუ კი უნივერსიტეტის პროფესორი ამას იკადრებს და უმეცრება ამას ათქმევინებს, რა თქმა უნდა, მდაბალ სასწავლებლებში უფრო ადვილად ნახავთ ამისთანა მოძღვრებს და მოისმენთ ამისთანა მოძღვრებას.

## შინაური ქრონიკა

— თანხმად მაღალ ყოვლად სამღვდელო ექსარხოსის ბრძანებისა, დღეს, შაბათს, დილის 9 საათზე იქნება კურთხევა სიონის სობოროს კარის ბჭის ღვთაების ეკლესიისა საკათედრო დეკანოზის მესტათი ელიოევის-მიერ.

— სოფელს ბეკათუბანში არის თურმე ერთი ძლიერ მოხუცებული კაცი, რომელიც წარსულ საუკუნეში დაბადებულა. მხლა იქნება იგი არა ნაკლებ ასის წლისა. მას ახსოვს, — გვწერს

«დროების» ფელეტონი, ნოემ. 24-ს

## ბიბლიოგრაფია

ისტორია ქართველთ ქვეითი დრუჟინისა

(შემდეგი*)

წინა ორს ფელეტონში მკითხველების ყურადღება მივაქციეთ უმთავრესად დრუჟინის საომარ მოღვაწეობაზედ მის დაარსების პირველ ხანებში და რამდენიმე ალაგი გადმოვბეჭდეთ წიგნიდამ იმ აზრით, რომ ცხადად დაგვენახა, რა საომარს ძალას წარმოადგენდა თითოეული წარმომადგენელი დრუჟინისა და თითოეული მისი მცირე რაზმთაგანი მტერთან შეხვედრის დროს. პირველს ხანებს უფრო იმიტომ შევეხენით, რომ ის დრონი მკითხველებს უფრო ნაკლებ ახსოვთ. უკანასკნელ დროს დრუჟინის მოღვაწეობა ყველას თვალ-წინ სწარმოებდა და ამიტომ ამ დროს განხილვას ჩვენ აღარ შევუდექით.

ამას გარდა ჩვენ ვასრულებთ თითქმის ჩვენს ანგარიშს წიგნზე და ჯერ კი არა გვითქვამს-რა იმის შესახებ, თუ რა დროსა და რა გარემოებაში დაიბეჭდა ეს წიგნი, რა შთაბეჭდილებას მოახდენს საზოგადოდ ქართველ მკითხველებზე და განსაკუთრებით მეომართა და თვით მილიციელთა გონებაზედ.

ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, სამხედრო საქმე ძალიან რთულ საქმედ გადაიქცა. მხედრობა სახემწიფოს უპირველესი ძალაა. ამ ძალაზედ დამოკიდებულია არა თუ მარტო ქვეყნის დაცვა გარეგან მტერთაგან, არა თუ ერისა და ქვეყნის ძლიერების გამტკიცება, სახემწიფოს გონიერი თავმოყვარეობის დაცვა სხვა სახემწიფოთა შორის ურთიერთობაში, უზრუნველ ყოფა პატივის-ცემისა, რომლითაც ერი და ქვეყანა უნდა იხსენიებოდეს სხვა ერთა და ქვეყნებისაგან, არამედ სახემწიფოს შინაგანი წეს-წყობილების დამკვიდრებაც მტკიცე საფუძველზედ. ყოველივე წესი და რიგი, ყოველივე კანონი, მშვიდობიანობა და სიმართლე თვით შინაურობაშივე, თვით სახემწიფოს სამზღვართა შორის ბევრად დამოკიდებულია იმ ფაქტიურს ძალაზედ, რომელსაც გამოიჩენს სახემწიფო. თუ სახემწიფოს ფაქტიური ძალა არა აქვს, საუკეთესო წესი შეიძლება დარღვეულ იქმნას, საუკეთესო საქმე ჩაიშალოს და თვით ქვეყნის ბედიც საშიშროებაში ჩავარდეს.

ეს გარემოება არის მიზეზი, რომ ჯერ-ჯერობით კიდევ ყველა სახემწიფოთა ერთს უდიდეს საზრუნველ საგნად არის გამხდარი მხედრობის გაძლიერება, ანუ უკეთ ვსთქვათ, გაძლიერება იმ ღონის ძიებათა სახემწიფოში, რომელთ შემწეობითაც ყოველთვის ადვილად შეიძლებოდეს სახემწიფოს ინტერესების გამოსარჩლება როგორც გარედ, ისე შინ; იმ ღონის-ძიებათა უკეთესობა და განკარგება, რომელთაც საგნად აქვთ დაცვა ქვეყნისა არა თუ გარეგან მტერთან, არამედ შინაურ არეულ-დარეულობისაგანაც, საზოგადობრივის ცხოვრების მშვიდობიანი განვითარება, კერძო პირთა თავისუფლება, აღებ-მიცემობის აღორძინება, წარმოების განცხოველება და სხვ. სახემწიფო, სუსტი ფაქტიურის ძალით, მოკლებული ეროვნულს ძლიერს ლაშქარს, მუდამ უკან იქნება ჩამორჩომილი სხვა სახემწიფოებზე იმ გარემოებათა შორის, რა გარემოებათა შორისაც დღეს ევროპის სახემწიფოთა საქმეები სწარმოებენ. ნაციონალურს ჯარს მოკლებული ქვეყანა, თუნდა კულტურითაც განვითარებული და განათლებით წინ წასული იყოს, დღეს დემოკლის მახვილის ქვეშ გრძნობს თავის-თავს ევროპაში.

ამ გვარმა წეს-წყობილებამ, სამწუხაროდ, ჩვენს დროში აუცილებელმა, გამოიწვია ახალი მოვლენა სამხედრო საქმეთა მიმდინარეობისა. ეს ახალი მოვლენა გახლავთ ვალდებულება ყოველის მამულის-შვილისა მზად-ყოფნისათვის საომრად ქვეყნის მტერთა წინააღმდეგ, მზად-ყოფნისათვის ქვეყნის გაჭირების დროს მახვილის აღებად და საბრძოლველად. ამ ვალდებულების

(* იხილე «დროება» № 248.

კორესპონდენტი, — ბევრი ამბები და შემთხვევანი წარსულის საუკუნიდგან და იცის ზეპირად სხვა-და-სხვა შინაარსის ლექსები და გარდმოცემანი. ეს კაცი იქაურებს ძლიერ უყვართ და კვირა-უქმე დღეებში მას შემოესევიან ხოლმე სხვა-და-სხვა ძველი საინტერესო ამბების გასაგებად. მოხუცებული გასაკვირველის სიმარჯვით ლაპარაკობს. უცოდინარი გლეხები დიდ ალტაცებაში მოდიან ძველის ამბების გაგებითა და მოსმენითა.

— იქიდამვე გვატყობინებენ: ბექათუბანი ძლიერ მდიდარია ხე-ტყით, რომლის წყალობით აქ ჰავა ძალიან სასარგებლოა ჯან-მრთელობისათვის თვისის ზომიერების გამო. საუბედუროდ ხე-ტყეს უწყალოდ დაუწყეს ამ ბოლოს დროს ჭრა და რამოდენიმე საბატონო მთები კიდეც გადასჩეხეს. იმედია, რომ აქაური ზოგიერთი ტყის მეპატრონეები რიგიანად მოექცევიან თავიანთ ტყეებს და ამით დაიცავენ, როგორც თავიანთ კერძო ინტერესებს, ისე საქვეყნო ინტერესებსაც.

— შორაპნის მაზრაში ამ უკანასკნელს დროს ძლიერ აცივებულა და ამ რამდენიმე დღის წინედ თოვლიც სწვევია ამ მაზრას.

— ბექათუბნელი კორესპონდენტი მიაქცევს ჩვენს ყურადღებას სხვათაშორის შემდეგს გარემოებაზე: ბექათუბნიდგან ხუთი ვერსის სიშორეზედ არის სოფელი ნუნისი, რომელიც ბუნებას მადნეულის წყლებით უხვად დაუჯილდოვებია. აქ ჯანის სისაღისათვის ზაფხულობით ბევრი ავადმყოფი მოდის; კურნებას პოულობენ: ქარიანები, მუწუკიანები, შაკიკიანები და სხვ. ბევრისათვის მიუნიჭებია სიმრთელე ამ წყლებს, მაგრამ, საუბედუროდ, კარგი გზა არა აქვსთ მისასვლელი და ეს გარემოება ბევრს სნეულს უკრავს ხელს.

— პარიჟიდამ ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი ქართველ მოსწავლე ახალ-გაზრდობისაგან: «რამდენადაც ვიცით ჩვენს მწერლობაში სულ ახლო ხანს კითხვა იყო აღძრული ქართული ბიბლიოთეკებისა და საკითხავების შესახებ. ხარკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების თხოვნამ უფრო გააცხოველა ეს საქმე და ამის გამო ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელთ სამშობლოს გარეთ მყოფი ქართველი ახალგაზრდობისათვის ქართული წიგნების გზავნის სურვილი დაებადათ. „წერა-კითხვის საზოგადოება“ უფრო ხელს უწყობს ამ საქმეს. იმედია ხსენებული «საზოგადოება» არც ჩვენ გამოგვრიცხავს და ჩვენც გვასაზრდოებს დედა ლიტერატურის ნაწარმოებით. მით უმეტეს გვესაჭიროება ამისთანა მზრუნველობა, რომ ბიბლიოთეკისა და საკითხავის დაარსებას ვაპირებთ. ქართველნი აქ თორმეტიოდე ვიქმნებით და, იმედია, ეს რიცხვი ერთი ორად და ერთი სამად გამრავლდება. ჩვენ აქ წარსული წლებისაგან დარჩენილი წიგნები ცოტაოდენიც გვაქვს, რამდენიმე «ივერიის» ნომრებია და რამდენიმეც წვრიმალი წიგნი. ბიბლიოთეკა, ვეცდებით, დღეგრძელი იქმნეს და აქ მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას უკლებლად და თან-და-თანის შემატებით ენახებოდეს. ისე როგორ გაწყდება აქ ქართველი სტუდენტის კვალი, რომ ოთხიოდე ყმაწვილი მაინც აღარ იყოს!

ჩვენი თხოვნა, რასაკვირველია, ქართული წიგნების გამომცემლებთან და რედაქტორებთან არის მიმართული მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველებს გვახსენდეთ და მეორეებმა არ დაგვივიწყონ.

ვსთხოვთ აგრეთვე ქართველ კათოლიკე მღვდლებსაც კონსტანტინეპოლისას რომ არც იმათ მიიქციონ პირი ჩვენგან. მათი ნაღვაწი ქართული წიგნები არა ნაკლების სიამოვნებით და მადლობით იქმნებიან ჩვენგან მიღებულნი.

ყოველისავე ახალი სადგურის ადრესს გაზეთით ვაცნობებთ პატივცემულ საზოგადოებას, ჯერ-ჯერობით კი ეს არის:

France, Paris, Rue Flatters, № 10, a m-r George Wisirischwili.

— «ახალი მიმოხილვის» მე 313 №-ში ვკითხულობთ: „ამას წინად მთელი ქუთაისი აალელვა იმ ამბავმა, რომ თბილისიდამ მოდის ჯერ ვერავისაგან დაუმლეველი მოჭიდავე გლდანელი. მისი ჩამოსვლა ძლიერ ესიამოვნათ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებს, რომელნიც ერთობ მოყვარულნი არიან ყოველგვარის გასართობი სანახავისა და ამიტომაც წინ-და-წინ შესდგა პარტია, რომელმაც თავის მხრით წამოაყენა გურიაში განთქმული ფალავანი და მკვირცხლი მოჭიდავე სვანიძე. ამ ორი მოჭიდავის სახით ჭიდაობდა ორი მხარე, ქართლი და იმერეთი, რომელნიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (?!?) თავიანთი შვილების ხასიათით. საზოგადოება ბლომად დაესწრო, ბევრი მორეულ ადგილებიდამაც მოვიდნენ, ქალებიც კი იყვნენ. დანიშნულს დროს, ერთმანეთის თანაბარი ღონისა და სიმკვირცხლის მოჭიდავენი ეძგერნენ ერთმანეთს... გლდანელმა კინაღამ დასცა, მაგრამ მკვირცხლმა სვანიძემ მარჯვედ გადაუდგა ფეხი, სისწრაფით წაავლო ერთი ხელი მხარში და მეორე ბარძაყში და თავდაყირა დასდვა მიწაზე. ამ დროს გლდანელს მისცვივდნენ მისი მფარველები მისაშველებლად, სვანიძესაც მეორეს მხრით გამოუჩნდნენ მფარველები და რადგანაც თავდამჭერელი ვერავინ, რომ მოჭიდავეებს არ მიშველებოდნენ დარღვეულ იქმნა, მშვიდობიანი ბრძოლა კრივად გადაიქცა. გლდანელმა მეორე დღესვე დააშურა წასვლა, და ბრძოლის კანონით კი ის დაძლეულად ითვლება ვინც ბრძოლის ველს მიატოვებს; ამიტომაც გლდანელს სახელის გატეხის შიში მოელის, რომლის აცილება მას შეუძლია მხოლოდ ახალს ჭიდაობაში გამარჯვებით“.

## „დროების“ კორესპონდენცია

ქ. ფოთი, ნოემბრის 10-ს. «ძმა ძმისთვინაო და შავ დღისთვინაო» ნათქვამია და სწორედ ამ ნაირად მოგვიმართეს ხელი ზოგიერთმა ბატონებმა ჩვენ, ჯერედ ისევ შეშინებულს და დაღონებულ ფოთელებს. ფოთი თითქმის მეორე წელიწადი მიდის, რაც დიდ ძილს მიეცა დარდისგან, მაგრამ ახლა კი, ცოტა არ იყოს, გამოღვიძებას აპირობს. ოცდა-ორი წელი მიდის, რაც ფოთი მოუთმენლად ელის ნავთ-საყუდელს და აჰა ლამის მოესწროს კიდეც თავის განმახარებელს ჯადოს, თითოოროლას განმადიდრებელს ნავთ-სადგურს.

მწუხარების დროსაც გამოგვიჩნდენ ზოგიერთი კაცთ მოყვარენი და მოვიდენ ჩვენ გასახალისებლად და თავის ჯიბის გასასქელებლად. ესენი არიან დ—ვი და მ—ოვი თავიანთი მეუღლეებით, რომლებიც საიმპერატორო თეატრის აკტიორებად იწოდებენ თავს და ხუთიოდე ლექსების კითხვით გაგვიწვრილეს გული გამხიარულების მაგიერ. ამათ ამ თვის 15 გააკრეს თავიანთი უკანასკნელი აფიშები და ჩვენდა საბედნიეროდ და თა-

---

ძალით ყოველი სრულ-წლოვანი მოქალაქე ჯარში უნდა მსახურებდეს რამდენსამე ხანს და, სამხედრო ხელოვნების შესწავლის შემდეგ, უნდა დაბრუნდებოდეს სახლში, ვიდრე რამ საჭიროება არ მოიწოდებს მას ქვეყნის სამსახურისათვის. რუსები ამ ვალდებულებას ეძახიან «საერთო სამხედრო გადასახადს», რომელსაც ყველა უნდა იხდიდეს, როგორც აუცილებელს ვალს. ამ გვარი წესი თითქმის ყველგან ევროპაში მიღებულია და რუსეთშიც, რასაკვირველია, სხვათა სახემწიფოთა მიხედვით, შემოღებულ იქმნა, მხოლოდ, ზოგიერთა მის გუბერნიებში ჯერაც არ გავრცელებულა იგი სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. რაიცა შეეხება ჩვენს ქვეყანას, რომელიც ამ უკანასკნელ დრომდე იმართებოდა განსაკუთრებულ კანონებით, სამხედრო საქმეშიაც არ იყო რუსეთის საერთო მსვლელობაში ჩავარდნილი. ისე რომ ბევრი რამ სავალდებულო შიდა რუსეთისათვის, ჩვენს მოვალეობას არ შეადგენდა და, მაშასადამე, ბევრი რამ საუფლებო შიდა რუსეთისათვის, ჩვენის ქვეყნის მცხოვრებისათვის უფლების საგნად არ იყო. დღეს მთავრობამ გადასწყვიტა ჩვენის ქვეყნის გაერთიანება რუსეთთან (1883 წლის ივლისიდამ) როგორც ყოველ გვარის უფლებისა, ისე ვალდებულების მხრით. ამ მიზეზითვე გადასწყვიტეს შემოღებულ იქმნას კავკასიაშიც „საერთო სამხედრო გადასახადის“ სავალდებულო წესი (როგორც გვახსოვს, ამ წესის შემოღება განზრახულია 1885 წლის სექტემბრიდამ).

ცხადია, რომ ამ გვარი წესის შემოღება თუნდ იმ გვარ ქვეყანაში, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, უცბად არ შეიძლება. მართალია ჩვენი ქვეყანა, ისტორიისაგან მუდმივ ომსა და ბრძოლას მიჩვეული, ერთს დროს ქუდზე კაცსა ჰგზავნიდა ლაშქარში და მუდამ თოფ-ქვეშ ეყენა ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, მართალია საუკუნეც არ გასულა მას უკან, რაც ერეკლე მეფესაგან მორიგის ლაშქარი იყო შემოღებული, რომლის ძალით ყველა, წოდებათა გაურჩევლად (მღვდელიც კი), ვალდებული იყო განსაზღვრულ დროს ლაშქარში ყოფილიყო პირველისავე ბრძანებისამებრ, ყველა ეს მართალია, ვამბობთ...

ამასთანავე არ შეიძლება არა ვსთქვათ, როგორც საკმაო საბუთს გვაძლევს ჩვენ მიერ განხილული ისტორია «ქართველთ ქვეითის დრუჟინისა“ ანუ მილიციისა, რომ ამ ხალხში ფარულად, გამოუაშკარებლივ, პოტენციალურად არ არსებობდეს ცოტაოდენი სურვილი სამხედრო მოღვაწეობისა, მამა-პაპურის მკლავის ქველობის გამოჩენისა. ამ დაფარულს ძალას მხოლოდ რამდენიმე შენძრევა უნდა, როგორც ბურბუშელას წუმწუმა, რომ ცეცხლი ასტყდეს და გაჩაღდეს.

აი, ამისათვის ვოლკონსკის მიერ რუსულად შედგენილი წიგნი თავის დანიშნულებას ბევრად უკეთესად შეასრულებს, ვიდრე ჰგონია ზოგიერთს. ამ ისტორიაში ცხადად და გატაცებით არის მოთხრობილი სახელოვანის ქართველთ მილიციის მხნეობა, ვაჟკაცობა და საკვირველი საომარი მოღვაწეობა. ამ გვარი მოთხრობა არა ერთს განუცხოველებს სურვილს ბრძოლისას, არა ერთს აღანთებს შურით სამხედრო ქებით შემოსისათვის. ეს წიგნი სწორედ წუმწუმაა ქართველი ჩინებულის მამაცობის განსაღვიძებლად, ასაფეთქებლად. მილიციის ისტორიის წიგნი ამ გვარად კვლავ აღადგენს სამხედრო სულს ხალხისას, ქართველობისას და უფრო უკეთესად მიაღწევს მიზანს შემადგენელისას, ვიდრე მიაღწევდა მას სხვა გვარი ხერხი და საშუალება, სხვა გვარი მოძღვრება და ღონის-ძიებანი.

ხოლო რაიცა შეეხება იმას, თუ რა სახარბიელო სამხედრო ძალაა ქართველობა და რა ძვირად უნდა უღირდეს და მიაჩნდეს სახემწიფოს იმ ნაირი ქვეყანა, რომელსაც შეუძლიან მისცეს მხედრობას ისეთნი გმირნი, როგორნიც თვალ-წინ მდევებივით გვხატებიან «ისტორიის» კითხვის დროს, ეს კარგად დაგვანახა ვოლკონსკიმ თავის წიგნში იმ საჩუქრების აღწერით, იმ ყურადღების მიქცევით, და უმაღლესი წყალობისა და ჯილდოების (წმ. გიორგის ბაირაღი და სხვ.) ბოძებით, რომელიც უხვად და უკლებლივ სწვიმდა დრუჟინისა და მილიციის თავზე მათ იმპერატორებითი უდიდებულესობის სიუხვეთაგან.

(შემდეგი იქნება).

ვიანთ საუბედუროდ გვეთხოვებიან კიდეც.

ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ აგრეთვე ისეთ სასარგებლო დროს გატარებაზე, როგორიც საჯარო ლექციების წაკითხვაა. საჯარო ლექციები ბ. ნ. დადიანმა წაიკითხა ქართულ ენაზე სამჯერ და სამჯერვე ხალხი ცოტა დაესწრო. მიზეზი არც ლექტორი ყოფილა და არც მისი ლექციის შინაარსი. მისი ლექცია და ლექტორის ენა ძლიერ საინტერესო და გასაგები იყო ყველასათვის, მაგრამ საუბედუროდ ლექტორმა დაივიწყა იმ ადგილის მდგომარეობა, სადაც ის ლექციას კითხულობდა. მისი ლექციის მნიშვნელობა და აზრიც ის იყო, რომ უბრალო ქართველ ხალხს გაეგო თავის ვინაობა, უწინდელი წარსულს დრო, ჩვენში სწავლა-განათლების მდგომარეობა და ქართველი ხალხის განვითარება. ამისთანა ლექციები სულ მუქთად უნდა ყოფილიყო წაკითხული ხალხისათვის და არა ისე ძვირად როგორც ლექტორმა ინება; პირველი რიგი სკამებისა 2 მან. ღირდა და უკანასკნელი—1 მან. ნ. დადიანსაც კარგად უნდა სცოდნოდა და მის თანაშემწეებსაც, რომ ამისთანა პატარა ქალაქში, ასე დალარიბებულში, დიდი ფასი ხალხისათვის ძალიან საძნელო იქნებოდა და, მგონია, ბოლოს თვითონ ლექტორიც დარწმუნდა ამაში, მესამე ლექციის დროს, როცა ხალხს მოსმენა ჰსურდა მისი ლექციისა, მაგრამ სიძვირის გამო ვერ ბედავდა შესვლასა.

ფოთელი.

## წერილი რედაქტორთან

ბატონო, ბ. რედაქტორო, ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ ჩემ მცირე შენიშვნას შესახებ იმ ამბისა, რომელიც იყო მოხსენებული «დროების» მე-245 ნომერში, ნოემბრის 13. აფიცერი ф—ი, რომელსაც ბრალდება ერთი ბათუმის ბერძნის სასიკვდილოდ დაჭრა, სამს ამ ნოემბერს ბათუმის გამომძიებლისაგან იყო ნაკითხი, ვითარცა დამნაშავე ზემოხსენებულ მოქმედების გამო. მაშასადამე შენიშვნა ავტორისა, რომ ვითომც აქაური ზოგიერთი მოხელეები გულ-გრილად უყურებდენ ამ აფიცრის ქცევას და ვითომც, პატრონი რომ ჰყოლოდა ობლებს და ქვრივს, სხვა მიმართულებას მიიღებდა ეს საქმე, სრულიად უსაფუძვლოა.

ვთხოვ იმ გაზეთებს, რომელთაც გადაბეჭდეს ზემომოხსენებული ამბავი, ინებონ ამ ჩემი შენიშვნის გადაბეჭდვაც.

ბათუმის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი აკოფოვი.

ნოემბრის 17, 1884 წ.
ბათუმი.

## უცხოეთი.

**საფრანგეთი.** იმპერატორმა ვილჰელმა თავის სატახტო სიტყვაში გამოსახა, სხვათა შორის, დიდის თანაგრძნობის დამკვიდრება საფრანგეთსა და თვის საბრძანებელს შუა. ეს აზრი, გერმანიის იმპერატორისაგან წარმოთქმული, მეტად სასიხარულოდ დაურჩათ საფრანგეთში და უმეტესი ნაწილი გაზეთებისა დიდს იმედს ხედავს მასში ეხლა, როცა საფრანგეთს ბევრი დავიდარაბა ახვევია თავს: ჩინეთთან შეტაკება, ანარხიული მოძრაობა, რომელმაც ამ დღეებში იჩინა თავი და დაუძლეველი სენი—ხოლერა. მოსალოდნელი იყო საფრანგეთსა და ჩინეთს შუა მორიგება, მაგრამ ჩინეთს ისეთი პირობები დაუდვია, რომ მორიგებაზე ეხლა აღარც-კი შეიძლება ფიქრი. ანარხიელები, როგორც ადრე—ყოველ წლივ, აგრეთვე წელსაც შეიკრიბნენ, დაჰკივლნენ: ,,გაუმარჯოს კომუნას! ძირს ბურჟუაზია''!—და მისცვივდენ პოლიციას. ჯარის დახმარება აუცილებელი იყო და დაატყვევეს კიდეც ასამდე კაცი. ხოლერის წინააღმდეგ საფრანგეთის მთავრობა ერთგულად იბრძვის და რაც შეიძლება სცდილობს, დაარწმუნოს ხალხი ხოლერის შესუსტებაზე. მართლაც, გასაკვირველია ის ზომები, რომელნიც მთავრობამ იხმარა, რომ ამ საოცარს სენს არ მოედგა ფეხი საფრანგეთში. რომ ეს ენერგიული ბრძოლა არა, დღეს იქმნება ხოლერა მთელს საფრანგეთში ყოფილა გავრცელებული და იქიდამ სხვა ევროპის სახემწიფოთაც სწვევოდა უეჭველად. ამოყო თუ არა ამ სენმა პარიჟში თავი, პოლიციამ თავდაპირველად, სანიტარულის კომისიის დახმარებით, დაათვალიერა პურის საცხობები და წყალი, რომელსაც დასათვალიერებელი უბანი ხმარობდა. შემდეგ გადავიდა შენობების და სადგურების დათვალიერებაზე.—ბევრი სახლი, პრეფექტის განკარგულებით დაცალეს და იქ მცხოვრებნი გადიყვანეს სხვა სადგომებში, რომელნიც პოლიციამ თავის ხარჯით დაიქირავა. პარიჟის პოლიციის პრეფექტმა, როგორც-კი მარსელში და ტულონში აღმოჩნდა ხოლერა, თვის ხელქვეით პოლიციელებისაგან შეადგინა სანიტარული დასები და დაუდო მათ ვალად, მოესმინათ მთელი კურსი ლექციისა ხოლერის და ამის ნიშნების შესახებ. ასე რომ ეხლა თითქმის ყოველს პოლიციელს შეუძლიან, სანამ ექიმი მოვიდოდეს, პირველი შველა, წამლობა გაუწიოს ხოლერიანს.

**გერმანია.** პარლამენტის პირველს სხდომაზედვე ცხადად დაინახა გერმანიის კანცლერმა, ბისმარკმა, რომ ამ ახალს პარლამენტში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ეს წინააღმდეგობა უმეტესად ბრაუნშვეიგის ტახტის მემკვიდრეობამ გამოიწვია. ამ საქმის გამო ბისმარკს წინააღუდგა თვით ცენტრის დასიც, რომლის დიდი იმედი ჰქონდა რკინის გრაფს. ცენტრის მოთავემ ვინდგორსტმა ბრაუნშვეიგის სამჯავროში წარმოსთქვა სიტყვა ბრაუნშვეიგის ჰერცოგის სასარგებლოდ. ბრაუნშვეიგის ჰერცოგი წამოაყენა მან კანონიერ მემკვიდრედ ბრაუნშვეიგის ტახტისა. მაგრამ ამავე დროს ბისმარკის ორგანი უარს-ჰყოფს ჰერცოგის მემკვიდრეობას და საბაბად თვისის აზრისა მოჰყავს ის, რომ ვითომ ეს ჰერცოგი არ იყოს სანდო პირი, რომ ეს მემკვიდრეობა პოლიტიკური საქმეა და რომ ჰერცოგმა თვისი ამალა ისეთის წევრებით შეავსო, რომელნიც დღეს ცენტრის დასს ეკუთვნიან, და ამ დასის მინდობა-კი იმდენად შესაძლოა, რამდენადაც პოლშელების და ფრანცუზების ფრაკციებისა. აღარც ულტრამონტანები მიემხრენ თ. ბისმარკს; დარჩა-ღა ერთი ლიბერალების დასი, მაგრამ მათგან უმეტესობას გერმანიის კანცლერმა ,,რესპუბლიკელები'' უწოდა, მაშინ როდესაც გერმანიელი ლიბერალები ყოველთვის ცნობილნი იყვნენ, როგორც დინასტიურისა და მანარხიულის წეს-წყობილების მოერთგულენი. ასე რომ გერმანიის კანცლერმა პირველს სხდომაზე ვერ გამოიჩინა მისებრი ტაქტი, და მისი სიტყვა მისთვის არასასარგებლო შთაბეჭდილებას მოახდენს უეჭველია მთელს გერმანიაში.

**ამერიკის შეერთებული შტატები.** ყოველი საკვირველება უეჭველად ამერიკაში იჩენს თავს. ევროპამ აღმოაჩინა ეს ქვეყანა, მაშასადამე მან შეიტანა იქ განათლება, მან მოჰფინა პირველად სხივი მეცნიერებისა ამ ველურს მხარეს. მაგრამ ეხლა შეიცვალა გარემოება: სხივს უფრო ხშირად აწ ეს გვიან აღმოჩენილი ქვეყანა ჰფენს ევროპას.

მომავალის წლის თებერვლისთვის გათავდება ძეგლი, რომელსაც შეერთებული შტატები უგებენ თავიანთ გამოჩენილს შვილს პირველს პრეზიდენტს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულის შტატებისას ვაშინგტონს. სიმაღლე ძეგლისა იქმნება 75 საჟენამდე. ამ გვარის სიმაღლისა ჯერ არაფერი აგებულა მთელს დედამიწაზედ.

## ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

ნოემბრის 22.

**პეტერბურგი.** სავექსილო კურსი ძალიან იწევს მაღლა: ლონდონში—$25^{3}/_{16}$ პენსი; ბერლინში $214^{3}/_{4}$ გერმან. პფენიგ., პარიჟში—265 სანტიმ., ხუთ-მანეთიანი ოქრო ღირს 7 მან. 87 კაპ. საქტამოქნო კუპონები 7 მან. 77 კაპ.,

**მოსკოვი.** დღეს დაიწყო მოსმენა სკოპინის ბანკში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ მოსკოვის სამოსამართლო პალატაში, ნაფიცთა მსაჯულთა მონაწილეობით. უველა ბრალდებულთა რიცხვი 26, მათ შორის ეხლავს: ი. გ. რიკოვს, ი. რუდნევს, ი. პ. იკონნიკოვს, პ. ი. მატჩეევს, პ. პ. ევტიხიევს და ა. ი. პოპოვს ყარაულები ადგანან თავს, ხოლო დანარჩენნი თავისუფლად არიან. თავსმჯდომარეობს პალატის წევრი ტერნოვსკი; ბრალსა სდებს პროკურორი პალატისა მურავიოვი; სამოქალაქო მომჩივნად არიან ნაფიცნი ვექილნი პლევაკო და დიმიტრიევი; რიკოვს იცავენ ნაფიცნი ვექილნი ოდარჩენკო და ბელიაევი; მოწამენი 107 არიან მოწოდებულნი; ნაფიცთა მსაჯულები არიან: 3 ჩინოვნიკი, 1 ინჟინერი მეხანიკი, 3 მეშჩანინი, 2 ვაჭარი, 2 ხელოსანი და 3 გლეხი; ნაფიცთა უფროსად არჩეულია მეშჩანინი ბოროვკოვი. ამ საქმეში ურევიან: ქალაქის თავი სკოპინისა ვაჭარი ვლადიმირ ოვჩინნიკოვი და ვაჭრის შვილი ვასილი იკონნიკოვი, სამი წევრი გამგეობისა და ორი ხმოსანი. განსაკუთრებულად შემდეგი საგნებია დანიშნული: ბოროტ-მოქმედება ფულის მიღების დროს შესანახად, საპროცენტო ქაღალდების სყიდვისა და გასყიდვის დროს, ვექსელების განაღდების დროს, ანგარიშის წარმოების დროს და აგრეთვე ბოროტ-მოქმედებანი ბანკის გარეშე.

ნოემბრის 23.

**პეტერბურგი.** გაზეთებით გავრცელებული ხმები, ვითომც კუნძ. სახალინზე კოლონიზაცია უნდა მოისპოსო ტყუილი გამოდგა.

ხმებია, რომ მომავალს სესიაში სახელმწიფო რჩევა განარჩევს აგრეთვე სავალდებულო სახელმწიფო ეგზამენების საქმეს ყველა იმ პირთათვის, რომელთაც ჰსურთ სახელმწიფო სამსახურში შესვლა.

**პარიჟი.** ფერიმ განაცხადა პალატაში, რომ ვერ დაიცავს სენატის ამორჩევების შესახებ და ჰფიქრობს, რომ ესეთი დადგინება შეცდომაა და იგი უნდა განიმარტოს, რის გამოც კაბინეტმა გადასწყვიტა ხელ-ახლად განსაჯოს ეს საგანი—ამორჩევითი რეფორმა—როგორც-კი პროექტი დაუბრუნდებათ სენატიდამ. შემდეგ ამისა გაგზავნილ იქმნა სენატში..

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში წარდგენილ იქმნა წინადადება ნაფიცთა მსაჯულების მოქმედების შეჩერებისა 1885 ვენაში და მას გარემო ადგილებში.

## ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაბინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

---

**მაზანდა**

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჯაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 6 კ. |

---

# განცხადებანი

ამ თვის 18-დამ „წერა-კითხვის საზოგადოების"

**კანცელიარია.**

გადატანილ იქმნა ძველის სადგომიდამ კუკიაში, მიხაილოვის ქუჩაზედ ბიორგი ქართველიშვილის სახლებში. (3—1)

---

გამგეობა ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ მეცხრამეტე (19) ტირაჟში, რომელიც 1884 წ. ნოემბრის 7-ს მოხდა, ამ ბანკის გირავნობის ფურცლებისა შემდეგი ნომრები გამოვიდა:

1) გირავნობის ფურცელნი, რომელნიც გამოცემულნი იქმნენ 1884 წ. მაისის 28-ს წესდების ძალით.

I სერიისა

18 წლით და 7 თვით.

ასი (100) მან. ღირსებისა №№ სამოც-და-თორმეტი (72) და ას-ოც-და-ექვსი (126).

II სერიისა

18 წ. და 7 თვით.

ასი (100) მან. ღირსებისა № პირველი (1).

$27^1/_2$ წლით.

ხუთასი (500) მ. ღირსებისა №№ შვიდი (7), ოთხი (4), ოთხმოც-და-ცხრა (89) და ოც-და-თოთხმეტი (34).

$54^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა №№ ექვსი (6) და ორმოც-და-თორმეტი (52).

III სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ხუთასი (500) მ. ღირსებისა №№ თვრამეტი (18) ორმოც-და-ცხრამეტი (59) და ას-ორმოც-და-ჩვიდმეტი (157).

ასი (100) მ. ღირსებისა №№ ას-ოთხმოც-და-სამი (183) და ორმოც-და-სამი (43).

$54^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა № ას-ოთხი (104).

IV სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ათასი (1000) მ. ღირსებისა № თორმეტი (12).

V სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ხუთასი (500) მ. ღირსებისა № თოთხმეტი (14).

$54^1/_2$ წ.

ხუთასი (500) მ. ღირსებისა № ას-ორმოცი (140).

VI სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ათასი (1000) მ. ღირსებისა № ოც-და-ცხრა (29).

$43^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა №№ ცამეტი (13) და ცხრამეტი (19).

VII სერიისა.

$43^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა № რვა (8).

VIII სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ხუთასი (500) მ. ღირსებისა №№ ოც-და-თორმეტი (32) და ოცი (20).

$43^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა №№ ას-სამოც-და-რვა (168) და ოც-და-ოთხი (24).

IX სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა № ოც-და-თხუთმეტი (35).

$43^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა №№ ას-ოთხმოც-და-ხუთი (185), ორას ოთხმოცი (280), ორას-ორმოც-და--სამი (243) და ორას-ორმოც-და-ჩვიდმეტი (257).

X სერიისა.

$43^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა №№ თხუთმეტი (15) და შვიდი (7).

XI სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ხუთასი (500) მ. ღირსებისა № ცხრამეტი (19).

$43^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა № ას-სამოც-და-თერთმეტი (171).

2) გირავნობის ფურცელნი, რომელნიც გამოცემულნი იქმნენ 1881 წ. თებერვლის 17 წესდების ძალით.

I სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ათასი (1000) მ. ღირსებისა №№ ორას-ოც-და-თერთმეტი (231), ორას ცხრამეტი (219) და ას-ოთხმოც-და-სამი (183).

ხუთასი (500) მ. ღირსებისა № სამოც-და-ექვსი (66).

ასი (100) მ. ღირსებისა №№ ას ცხრამეტი (119) და ორას-ორმოც-და-თორმეტი (252).

$43^1/_2$ წ.

ხუთასი (500) მ. ღირსებისა № ორი (2).

II სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ათასი (1000) მ. ღირსებისა №№ ხუთას-ოთხმოც-და-ჩვიდმეტი (597), ექვსას თორმეტი (612), ას-თვრამეტი (118), ოთხას-ორმოც-და-ჩვიდმეტი (457), სამას-ოთხმოცდა-ცამეტი (393), ორას ცამეტი (213), ოთხას სამი (403), სამას-ოთხმოც-და-ხუთმეტი (395) და რვაას ექვსი (806).

ასი (100) მ. ღირსებისა №№ ორას-ორმოც-და-რვა (248), ოთხას-შვიდი (407) და ას-ორმოც-და-ათი (150).

$43^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა №№ ორმოც-და-ერთი (41), თორმეტი (12) და ორმოც-და-ორი (42).

III სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ათასი (1000) მ. ღირსებისა № ას-ოც-და-რვა (128).

ასი (100) მ. ღირსებისა № ოც-და-ხუთი (25).

$43^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა №№ ოთხმოც-და-ცხრა (89), ას-თერთმეტი (111), ორი (2) და სამი (3).

IV სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ათასი (1000) მ. ღირსებისა №№ ას-ოთხმოც-და-თხუთმეტი (195) და ორას ოც-და-ერთი (221).

ასი (100) №№ მ. ას-ცხრა (109) და ორას-შვიდი (207).

$43^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა №№ ცხრამეტი (19), ექვსი (6) და ოც-და-ოთხი (24).

V სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ათასი (1000) მ. ღირსებისა №№ სამას-ერთი (301), ორას-სამოც-და-თოთხმეტი (274) და ორას-ოთხმოც-და-ჩვიდმეტი (297).

$43^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა №№ ას-ოც-და-თორმეტი (132), ას-ათი (110) და ოც-და-ცხრამეტი (39).

VI სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ათასი (1000) მ. ღირსებისა № ოც-და-ცხრამეტი (39).

ასი (100) მ. ღირსებისა №№ თერთმეტი (11) და სამოც-და-თოთხმეტი (74).

$43^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა №№ სამოც-და-ცხრამეტი (79) და ათი (10).

VII სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ათასი (1000) მ. ღირსებისა №№ ორას-სამოცდა-ცხრა (269), ორას-ორმოც-და-თვრამეტი (258), ჩვიდმეტი (17) და ას-თოთხმეტი (114).

ასი (100) მ. ღირსებისა №№ ას ორმოც-და-ცხრამეტი (159) და ორას-სამოც-და-თერთმეტი (274).

$43^1/_2$ წ.

ხუთასი (500) მ. ღირსებისა № შვიდი (7).

ასი (100) მ. ღირსებისა №№ ოთხმოც-და-თვრამეტი (98), სამოც-და-ცხრამეტი (79) და ას-შვიდი (107).

VIII სერიისა.

$27^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა № ერთი (1).

$43^1/_2$ წ.

ასი (100) მ. ღირსებისა №№ სამოც-და-თექვსმეტი (76) და ორმოც-და-ერთი (41).

---

**ძმ. ჭილაძეთა წიგნის მაღაზია**

# ქუთაისში

აცხობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან საკუთრებად შეიძინა მთელი გამოცემა აკაკის განთქმული პოემის **თორნიკე ერისთავისა**, რომელიც იყიდება მხოლოდ ამ მაღაზიაში, ეკზემპლიარი თითო მანეთად. იქვე იყიდება ყველა ქართული გამოცემანი, სხვათა შორის: სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ვის-რამიანი, თ. გ. ერისთვის თხზულებათა კრება ჩინებულს ყდაში და სხ.; ყოველ-გვარი სახელმძღვანელოები ქართულს და რუსულს ენაზე, სასწავლო და საკანცელარიო კუთვნილებანი. ამავ მაღაზიამ შეიძინა უფლება და შეუდგა გამოცემას ჩვენი ორი დიდი პოეტის **ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის** თხზულებათა კრებისას. (10—6)

---

გამოვიდა და იყიდება

ყველა წიგნის მაღაზიებში

ახალი წიგნი

**არითმეტიკა**

სახელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის, შედგენილი მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანისაგან.

ფასი 80 კ. გაგზავნით 1 მან. (10—9)

---

*Доз. ценз. Тифлисъ, 23 Ноября 1884 г.* სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი